ბარინაა მანუაელ ფრანსისკო ფოს სანტოსი — ბრაზილია. თეადამსხელი. 23.3.1933-20.1.1983. თამაშობდა „არიო-გრანდეში“ (1949-53), „ბოტოფოგოში“ (1953-64), „კორინტიანსში“ (1965-68) და „ფლამენგოში“ (1969). მსოფლიოს 1968 და 1962 წლების ჩემპიონი. 1962 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1966 წ. ჩემპიონატში. ნაერებში ჩაატარა 57 მატჩი (პირველი: 18.9.1965 ჩილი 1-1, ბოლო: 15.7.1966 უნგრეთი 1-3) და გაიტანა 15 გოლი. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი.

ბასქონინიოლ — ინგლისი. ნახეარმეველი. დ.27.5.1967. თამაშობდა „ნიუკასლ იუნაიტედში“ (1976-88), „ტოტენჰემში“ (1988-92) 1992 წლიდან რომის „ლაციოშია“. ინგლისის ჩემპიონატებზე ჩაატარა 194 მატჩი და გაიტანა 43 გოლი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში. ნაერებში ჩაატარა 23 მატჩი (პირველი: 7.6.1989 დანია 1-1) და გაიტანა 2 გოლი. 1990 წელს დასახლებული იქნა ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენად.

ბეალსი მარტრუაჰს მარინიუს — პოლანდია. თეადამსხელი. დ.28.7.1948 წ. პარლემში. თამაშობდა „ფეინიოროდში“ (1969-70), „გოუ ეადეში“ (1970-73), „ბრიუგეში“ (1973-74), „აიაქსში“ (1974-78), „ანდერლეხტში“ (1978-79), როტერდამის „სპარტაკში“ (1979-81), „ეინდოუვენი“ (1981-83) და ბრედას ნაქში (1983-84). მონაწილეობდა მსოფლიოს 1974 წ. ჩემპიონატში. პოლანდიის ნაერებში ჩაატარა 20 მატჩი (პირველი: 27.3.1974 ავსტრია 1-1, ბოლო: 14.10.1981 ბელგია 3-0). მსოფლიოს 1974 წ. ვიცე-ჩემპიონი და ევროპის 1976 წ. ჩემპიონატის შესაბამის პრიზორი. ევროპის ჩემპიონთა (1970), თასის მფლობელთა (1978) და სუპერ (1978) თასების მფლობელი. 1975 (30), 1976 (29), 1977 (34), 1978 (32) და 1981 (22) წ. პოლანდიის და ბელგიის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი. 1975 წ. მოიპოვა „ჟერცელის“, ხოლო 1977 და 1978 წ. „პრინჯაოს“ ბუცი.

ბარანი რუმბერ — საფრანგეთი. 1876-1952. ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე. ფიფას ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1904-06). გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების ერთ-ერთ ინიციატორად.

ბარაოს მასინ — დაარსდა 1927 წელს

ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გეროუს მიერ ცენტრალური ევროპის (ავსტრია, იტალია, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი) ქვეყნებისათვის. 1955 წელს ტურნირში ჩართო იუგოსლავია. თასის ერთი გათამაშება მოიცავდა სამწლიან ციკლს. ჩათვლაში შედიოდა ნებისმიერი შეხვედრა ან ქვეყნების ნაერებ გუნდებს შორის (გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის და ოლიმპიური თამაშებისა). ერთი ციკლის განმავლობაში მეტოქენი ორჯერ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, საკუთარ და მეოქვის მოედნებზე. ჩატარდა ექვსი გათამაშება, შემდგომ ტურნირმა არსებობა შეწყვიტა.

ტექნიკური შედეგები:


1. 1927-1929 2. 1930-1932 3. 1933-1935

1.იტალია	1.ავსტრია	1.იტალია
2.ავსტრია	2.იტალია	2.ავსტრია
3.ჩეხოსლოვ.	3.უნგრეთი	3.უნგრეთი
4.უნგრეთი	4.ჩეხოსლოვ.	4.ჩეხოსლოვ.
5.შვეიცარია	5.შვეიცარია	5.შვეიცარია
4. 1936-1939		

ეს გათამაშება ვერ დასრულდა ევროპაში საომარი ოპერაციების დაწყების გამო. არ გამართულა იტალიელთა მატჩები ავსტრიელებთან(2), ჩეხებთან და უნგრელებთან. ამ დროისათვის ცხრილი ასე გამოიყურებოდა:

1. უნგრეთი — 10 ქულა	
2. იტალია — 7 ქულა	
3. ჩეხოსლოვაკია — 7 ქულა	
4. ავსტრია — 5 ქულა	
5. შვეიცარია — 3 ქულა	
5. 1948-1953	6. 1965-60
1.უნგრეთი	1.ჩეხოსლოვაკია
2.ჩეხოსლოვაკია	2.უნგრეთი
3.ავსტრია	3.ავსტრია
4.იტალია	4.იტალია
5.შვეიცარია	5.იტალია
	6.შვეიცარია

ბერატსი იერიპ — ბელგია. მცველი. დ. 18.5. 1954 რევეში. თამაშობდა „სტანდარდში“ (1972-83), „მილანში“ (1983-84), „ბევერენში“ (1985) და „ეინდოუვენი“ (1986-92). ევროპის 1980 წ. ვიცე-ჩემპიონი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1982, 1986 და 1990 წლების ჩემპიონატებში. ბელგიის ნაერებში ჩაატარა 92 მატჩი (პირველი: 27.9.1975 გდრ 1-2, ბოლო: 27.3.1991 უელსი 1-1).



მარშანი

მარშანი — სახელმწიფო ცენტრალურ ეროსაში. ტერიტორია — 356,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 77,8 მილ. კაცი. დედაქალაქი — ბონი. ფ.ფ. (Deutscher Fussball-Bund) შეიქმნა 1900 წელს. ფიფა-ს წევრია 1904 წლიდან. გერმანიის ნაკრები (პირველი მატჩი: 1908 შევიყარია 3-5) ორჯერ მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატებში (1934 — III ადგილი) ჩაატარა 6 შეხვედრა: +3-1-2 14-13. სულ გერმანიის ნაკრებმა ომამდე ჩაატარა 198 მატჩი, საიდანაც მოიგო 100, ფრედ დაამთავრა 35 და ნააგო 63 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 527-363. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი საფეხბურთო კავშირი: საარის (1950, ფიფა-ში 1950), გფრ-ის (1950, ფიფა-ში 1950) და გდრ-ის (1948, ფიფა-ში 1952). საარის ნაკრები მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. შემდეგ ეს კავშირი გაუქმდა და შეუერთდა გფრ-ის კავშირს. გდრ-ის ნაკრებმა (პირველი მატჩი: 1962 პოლონეთი 0-3) ერთხელ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. 6 მატჩი, +2-2-2. 5-5. 1976 წ. გდრ-ის ნაკრებმა მოიგო ოლიმპიური თამაშები. 1990 წ. გდრ შეუერთდა გფრ-ს და ეს კავშირიც გაუქმდა. ამ დროისათვის გდრ-ის ნაკრებს ჩაატარებულ ქონდა 293 მატჩი, საიდანაც მოიგო 138, ფრედ დაამთავრა 69 და ნააგო 86 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 501-345. გფრ-ის ნაკრები (პირველი მატჩი: 1950 შევიყარია 1-0) მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს თერთმეტი ჩემპიონატის ფინალში. I ადგილი — 1954, 1974, 1990. II ადგილი — 1966, 1982, 1986. III ადგილი — 1970. სულ ჩაატარა 67 მატჩი. +39+15-13. 140-84. ნარმატებით გამოდის გფრ-ის ნაკრები ევროპის ჩემპიონატებზეც. I ადგილი — 1972, 1980. II — 1976, 1992. III — 1988. გფრ-ის ნაკრებმა (1990 წ. შემდეგ — გერმანია) 1995 წლის I იანვრისათვის ჩაატარა 419 შეხვედრა, საიდანაც მოიგო 251, ფრედ დაამთავრა 85 და ნააგო 83 მატჩი. ბურთების შეფარდება 868-424. ასევე ნარმატებით თამაშობენ გერმანული კლუბებიც. ჩემპიონთა თასს ფლობდნენ: მუნხენის „ბაიერნი“ (1974-76) და „შაშტუტენი“ (1983). თასების თასს — დორტმუნდის „ბორუსია“ (1966), მუნხენის „ბაიერნი“ (1967), „შატუტენი“ (1974), „შაშტუტენი“ (1977) და „ვერდერი“ (1992). უფუას თასს — მიუნხენგლადბახის „ბორუსია“ (1975, 1979), მიანის ფრანკფურტის „აინტრაქტი“ (1980) და ლევერკუზენის „ბაიერი“ (1988). საკონტინენტთაშორისო თასს — მიუნხენის „ბაიერნი“ (1976).



„მეტაპორმი“



„მეადლახბარა“



გვატემალა

მარშანი და ფიფარშიფო ლუის — პორტუგალია. მუცელი. დ. 18.1.1933 წ. თამაშობდა ლისაბონის „ატლეტიკოში“ (1947-60) და „ბენფიკაში“ (1960-70). ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის (1961, 1962) გამარჯვებული. მსოფლიოს 1966 წ. ჩემპიონატის შესამე პრიზიორი. პორტუგალიის ნაკრებში ჩაატარა 24 მატჩი.

მარსონი ოლივიერი ნუნისი — ბრაზილი. ნახევარმცველი. დ. 11.1.1941 ნითურიოში (რიოს შტატი). თამაშობდა „ფლამენგოში“ (1958-63), „პოტუგოში“ (1963-69), „სან-პაულუში“ (1974-75). მსოფლიოს 1970 წ. ჩემპიონი. ბრაზილიის ნაკრებში ჩაატარა 78 მატჩი (პირველი: 7.5.1961 ჩილი 2-1, ბოლო: 9.7.1972 პორტუგალია 1-0).

„მეტაპორმი“ (იღროტსფორენინგ კამრატერნა გეტებორგი — გეტებორგი. მუცელი. დაარსდა 4.10.1904. სტადიონი — „სულევი“ (52 000). შედეგის ჩემპიონი — 1908, 1910, 1918, 1935, 1942, 1958, 1969, 1982, 1983, 1984, 1987, 1990, 1991, 1993, 1994. შედეგის თასი — 1979, 1982, 1983, 1992. უფუას თასის 1982 და 1987 წლების გათამაშების გამარჯვებული. ევროპულ ტურნირებზე იასპარეზა 18-ჯერ.

უ1	11	60	28	10	22	106-27
უ2	2	8	2	3	3	7-11
უ3	5	30	18	9	3	53-25

„მეადლახბარა“ (კლუბ დეპორტივო გუადალახარა) — გუადალახარა, მექსიკა. დაარსდა 1908 წ. სტადიონი — „პალისკო“ (66 193) მექსიკის ჩემპიონი — 1957, 1959, 1960, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1969, 1987. კონკაფ-ის ჩემპიონთა თასი — 1962, 1964, 1965, 1978.

მვატემალა (გვატემალის რესპუბლიკა) — სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია — 109 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 8,4 მილ. კაცი. დედაქალაქი — გვატემალა. ფ.ფ. (Federation National de Futbol de Guatemala) შეიქმნა 1920 წ. ფიფა-ს წევრია 1933 წლიდან. გვატემალის ნაკრები (პირველი მატჩი: 1930 კოსტა-რიკა 1-8) არის კონკაფ-ის ჩემპიონი (1967) და ვიკე-ჩემპიონი (1965, 1969). „დეპორტივო მუნისიპალმა“ 1975 წ. მოიგო კონკაფ-ის ჩემპიონთა თასი.

ბმინა (გვინეას სახალხო რევოლუციური რესპუბლიკა) — სახელმწიფო დასაჯელთ აფრიკაში. ტერიტორია 246 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 6,4 მილ. კაცი. დედაქალაქი კონაკრი. ფ.ფ. (Federation Guineenne de Football) დაარსდა 1959 წ. ფიფა-ს წევრია 1961 წლიდან. გვინეას ნაკრები (პირველი მატჩი: 1960 გდრ 2-2) აფრიკის 1976 წ. ვიცე-ჩემპიონია. 1972, 1975 და 1977 წლებში „ხაფიამ“ მოიგო აფრიკის ჩემპიონთა თასი, ხოლო 1978 წელს „ხოროიამ“ — აფრიკის თასების თასი.

უ1	16	71	33	12	26	112-106
უ2	10	54	27	11	16	100-62
უ3	8	38	18	8	12	53-41



ბმინა

ბმინა-ბისაუ (რესპუბლიკა გვინეა-ბისაუ) — სახელმწიფო დასაჯელთ აფრიკაში. ტერიტორია — 36,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 925 ათასი კაცი. დედაქალაქი — ბისაუ. ფ.ფ. (Federation de Football Guinea-Bissau) შეიქმნა 1986 წ. ფიფა-ს წევრია 1986 წლიდან.

ბლიჟანარი რუფოლზ — გერმანია. მსაჯი. დ. 20.3.1929. მსაჯობა დაიწყო 1953 წლიდან. 1961 წ. გახდა ფიფა-ს მსაჯი. იმსაჯა 1968 და 1972 წლების ოლიმპიური თამაშები და 1970 და 1974 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ტურნირები. 1970 წელს იმსაჯა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი: ბრაზილია — იტალია. სამსაჯო კარიერის დამთავრების შემდეგ იყო უფუას მსაჯთა კომიტეტის წევრი. ფიფა-ს ინსტრუქტორი. 1977 წ. ფეხბურთის წინაშე დამსახურებისათვის შეყვანილ იქნა ფიფა-ს სამაგისტრო ნიგნში.

ბიბატაძე ბიბ — ფოთი. მცველი. დ. 17.9.1963. თამაშობდა ფოთის „კოლხეთში“ (1992 წლამდე და 1994 წლიდან), ქუთაისის „ტორპედოში“ (1987-88) და ზესტაფონის „მარგეთში“ (1992-94). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 156 მატჩი და გაიტანა 9 გოლი. საქართველოს 1995 წ. მესამე პრიზიორი.

ბლორინი მტომ — ბრაზილია. მწერთნელი. 1910-1986. 1932-44 წლებში თამაშობდა „ესასკო და გაშაში“ და „ბოტოფოგოში“. 1942 წლიდან არის მოთამაშე მწერთნელი „ბოტოფოგოში“. 1944-53 და 1969-71 წლებში სათავეში ედგა რიო-დე-ჟანეიროს „ამერიკას“. შემდეგ მუშაობდა „ბენფიკაში“ (1954-59), მარსელის „ოლიმპიკში“ და ლისაბონის „სპორტინგში“. 1963-66 და 1982-83 წლებში მუშაობდა პორტუგალიის ნაკრებში (მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე). მუშაობდა აგრეთვე სან-პაულუს „პორტუგეზაში“ (1967-68), მადრიდის „ატლეტიკოში“ (1969), „პორტოში“ (1970), პორტო-ავეღურის „ინტერნასიონალიში“ (1971-78) და ნიგერიაში (1974-80).

ბიბი მორის ალექსანდრა — საფრანგეთი. მსაჯი. დ. 4.8.1912. პროფესიით პოლიციის ოფიცერი. 1954 წლიდან მსაჯობს საერთაშორისო მატჩებს. ოთხი მატჩი იმსაჯა მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე, მათ შორის ფინალური მატჩი ბრაზილიისა და შვედეთის გუნდებს შორის.

ბოგინი დავითი — თბილისი. მკვარე. დ. 17.10.1948 წ. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1968, 1972-79), ქუთაისის „ტორპედოში“ (1970) და ლანჩხუთის „გურიაში“ (1980-81). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 203 მატჩი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1978) ვიცე-ჩემპიონი (1977) და სამგზის მესამე პრიზიორი. 1976 და 1979 წ. დაუფლა სსრკ თასს. 1979 წ. ხალხთა სპორტაკიადის ვიცე-ჩემპიონი.

„გლახტონ რიინგჰარსი“ (ფუთბალ კლბ რეინგჰერს) — გლახტონ. შოტლანდია. დაარსდა 1873 წელს. სტადიონი — „აიბროქსი“ (44 500). შოტლანდიის ჩემპიონი — 1891, 1899, 1900, 1901, 1902, 1911, 1912, 1913, 1918, 1920, 1921, 1923, 1924, 1925, 1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1933, 1934, 1935, 1937, 1939, 1947, 1949, 1950, 1953, 1956, 1957, 1959, 1961, 1963, 1964, 1975, 1976, 1978, 1987, 1989, 1990, 1991, 1992, 1993, 1994. შოტლანდიის თასი — 1894, 1896, 1897, 1898, 1903, 1928, 1930, 1932, 1934, 1935, 1936, 1948, 1949, 1950, 1953, 1960, 1962, 1963, 1964, 1966, 1973, 1976, 1978, 1979, 1981, 1992. 1972 წელს დაუფლა ევროპის თასების თასს. ევროპის საკულბო ტურნირებზე ითამაშა 34-ჯერ.

გოგინიანიშვილი სებასტიანო — საქართველო. ნახევარმცველი. დ. 31.10.1968. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1988-91), „გურიაში“ (1991-92), „შუვარდენში“ (1992-94) და „სამტრედიაში“ (1994 წლიდან). საქართველოს 1993 წ. ვიცე-ჩემპიონი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 157 მატჩი და გაიტანა 44 გოლი. ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 12 მატჩი



„გლახტონ რიინგჰარსი“



„გრასპოპერსი“

(პირველი: 2.9.1992 ლიტვა 0-1). გაიტანა 1 გოლი.

მომგობიანი გონა — სოხუმი. ნახევარ-მცველი. დ.12.8.1964 წ. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1983-87), სოხუმის „დინამოში“ (1988-92), შემდეგ სოფის „ეგზოტონიში“ (1993) და კვიპროსის „ომონიაში“ (1993 წლიდან). საქართველოს 1992 წ. ვიცე-ჩემპიონი. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 61 მატჩი და გაიტანა 33 გოლი. ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 4 მატჩი (პირველი: 27.5.1990 ლიტვა 2-2). გაიტანა 1 გოლი.

მოქიქაია სერხიო ხაპიერ — არგენტინა. მკარე. დ.17.10.1963 წ. ბუენოს-აირესში. თამაშობდა „დეფენსორში“ (1980-81), „რივერ პლეიტში“ (1982-89), კოლუმბიის „მილონარიოსში“ (1989-90), ბუენოს-აირესის „რესინგში“ (1990-91) და კვლავ „რივერ პლეიტში“ (1992 წლიდან). მსოფლიოს 1990 წ. ვიცე-ჩემპიონი. სამაგერიკოს 1991 და 1993 წ. ჩემპიონი. 1986 წ. სამაგერიკოს, საკონტინენტთაშორისო და 1987 წ. ინტერამერიკული თასების მფლობელი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1994 წ. ჩემპიონატში. არგენტინის ნაკრებში ჩაატარა 45 მატჩი (პირველი: 13.6.1990 სსრკ 2-0).

მომეში შარანაძე მინდუ სოიბარიშ — პორტუგალია. თავდასხმელი. დ. 21.11.1956. თამაშობდა „პორტუში“ (1972-80), „ხიხონში“ (1980-82) და ისევ „პორტუში“ (1982-89). პორტუგალიის 1978-79, 1985-86 და 1988 წლების ჩემპიონი. 1987 წ. ჩემპიონთა თასის, სუერთასის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. 1983 და 1985 წლების „ოქროს ბურთის“ მფლობელი. ნაკრებში ჩაატარა 58 მატჩი (პირველი: 26.4.1975 საფრანგეთი 2-0, ბოლო: 16.11.1988 ლუქსემბურგი 0-0) და გაიტანა 23 გოლი. ოთხჯერ გახდა პორტუგალიის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი.

მონდალ სერჟიო — იტალია. მსაჯი. დ. 29.10.1933. ფინანსისტი. ბანკის დირექტორი. 1970 წლიდან ფიფა-ს არბიტრი. იმსაჯა 1976 წლის ევროპისა და 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩები.

მორგბლაძე აბთხანიძე — ბათუმი. თავდასხმელი. დ.1965 წ. თამაშობდა ბათუმის „დინამოში“ (1974-82, 1984-87) და ქუთაისის „ტორპედოში“ (1983 უმაღლესი ლიგა. 10

მატჩი — 3 გოლი). ბათუმის „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირი პირველ (158 მატჩი — 56 გოლი) და მეორე ლიგებში.

მრამოსი ივრემ — გერმანია. თავდასხმელი. დ. 7.7.1944 ბიებრიში. 1964 წლამდე თამაშობდა „ფუ ბიებრიში“ და „ეისბადენში“. 1964-80 წლებში გამოდიოდა ფრანკფურტის „აინტრაჰტის“ შემადგენლობაში. ნაკრებში ჩაატარა 44 მატჩი (პირველი: 4.5.1966 ირლანდია 4-0, ბოლო: 7.7.1974 შოლანდია 2-1) და გაიტანა 5 გოლი. მსოფლიოს 1974 წ. ჩემპიონი და 1970 წ. მესამე პრიზიორი. ევროპის 1972 წ. ჩემპიონი. უფუას თასის (1980) მფლობელი. ბუნდესლიგაში ჩაატარა 441 მატჩი და გაიტანა 109 გოლი.

„გრასპოპერსი“ (გრასპოპერსი კლუბ ციურიხ) — ციურიხი. შვეიცარია. დაარსდა 19.8.1886. სტადიონი „ხარდთურმი“ (37 000). შვეიცარიის ჩემპიონი — 1888, 1900, 1901, 1905, 1921, 1927, 1928, 1931, 1937, 1939, 1942, 1943, 1945, 1952, 1956, 1971, 1978, 1982, 1983, 1984, 1990, 1991. შვეიცარიის თასი — 1926, 1927, 1932, 1934, 1937, 1938, 1940, 1941, 1942, 1943, 1946, 1952, 1956, 1983, 1988, 1989, 1990, 1994. 24-ჯერ მიიღო მონაწილეობა ევროპულ ტურნირებში.

უ1	8	26	6	6	14	43-48
უ2	3	12	4	2	6	15-15
უ3	13	54	24	6	24	93-84

მრამიანი შარანაძე — იტალია. თავდასხმელი. დ.16.2.1952 წ. თამაშობდა „არეზოში“ (1970-71), „ფიორენტიანოში“ (1972-81) და „რომაში“ (1981-83). მსოფლიოს 1982 წ. ჩემპიონი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1978 წ. ჩემპიონატში. იტალიის ნაკრებში ჩაატარა 64 მატჩი (პირველი: 19.4.1975 პოლონეთი 0-0; ბოლო: 25.5.1983 შვედეთი 0-2). გაიტანა 23 გოლი.

მრამი კარლო — ჩრდ.ირლანდია. მკარე. დ.30.3.1933 წ. კოლერინში. თამაშობდა „დერი სიტში“ (1945-47), „მანჩესტერ იუნაიტედში“ (1947-66) და „სტოუ სიტში“ (1966-68). მონაწილეობდა მსოფლიოს 1958 წ. ჩემპიონატში. ჩრდ.ირლანდიის ნაკრებში ჩაატარა 25 მატჩი (პირველი: 31.3.1964 უელსი 2-1; ბოლო: 20.11.1963 ინგლისი 3-8). შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად „შერბერი თაუნში“ (1968-72), „სუონსი სიტში“ (1972-75), „ტრევი ალექსანდრამში“ (1975-78), „ქარლიზ იუნაი-

ტედში" (1986-87) და ჩრდ. ირლანდიის ნაკრებში (1990-92).

„ბრეშიო“ (გრემიო ფუთბალ) — პორტუგალიელი. ბრაზილია. დაარსდა 15.9.1893. ატადორი „სეორაო“ (70 000). ბრაზილიის ჩემპიონი — 1981. 1983 წელს მოიგო სამხ. ამერიკის და საკონტინენტთაშორისო თასები.

ბრუნანდა — სახელმწიფო კარიბის ზღვაში. ტერიტორია — 344 კვ. კმ. მოსახლეობა — 98 ათასი კაცი. დედაქალაქი — სენტ-ჯორჯისი. ფ.ფ. (Grenada Football Association) შეიქმნა 1924 წ. ფიფას ნევრია 1976 წლიდან.

ბრანი ბუნარ — შვედეთი. თავდასხმელი. 31.10.1921-16.11.1991. თამაშობდა „გეტებორგში“ (1939-48), „ორგურტში“ (1948), „მილანში“ (1949-52), „ფორტინაში“ (1952-54) და „ჯენოვაში“ (1955-56). იყო შვედეთის და იტალიის ჩემპიონი. 1958 წ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. შვედების სახელგანთქმული სამეულის „გრენო-ლის“ ერთ-ერთი წევრი. შვედეთის ნაკრებში ჩაატარა 57 მატჩი (პირველი: 29.8.1940 ფინეთი 3-2, ბოლო: 26.10.1958 დანია 4-4). 1948 წ. ოლიმპიური ჩემპიონი.

ბრიუსი ჯეიბზ — ინგლისი. თავდასხმელი. დ. 20.2.1940 ლონდონში. თამაშობდა „ჩელსიში“ (1958-60), „მილანში“ (1961), „ტოტენჰემში“ (1961-71). მონაწილეობდა მსოფლიოს 1962 და 1966 წლების ჩემპიონატებში. მსოფლიოს 1966 წ. ჩემპიონი. ნაკრებში ჩაატარა 57 მატჩი (პირველი: 17.5.1959 ქერუ 1-4, ბოლო: 27.5.1967 ავსტრია 1-0) და გაიტანა 44 გოლი. ინგლისის პრემიერ-ლიგაში ჩაატარა 516 მატჩი და გაიტანა 357 გოლი.

ბრინაუდი რონე — ინგლისი. მწვრთნელი. დ. 1923 წ. თამაშობდა „ჩელსიში“, „ბრედფორდ სიტიში“ და „ფულემში“. შემდეგ მუშაობდა „ოქსფორდში“, „ვალამ სთონში“, მწვრთნელის თანაშემწედ „არსენალში“ (1958-61), „ვესტ ჰემში“ (1961-76). მთავარ მწვრთნელად იმავე „ვესტ ჰემში“ (1975-77). 1977-82 წლებში სათავეში ედგა ინგლისის ნაკრებს.

ბრეშიო დიოლუა — უნგრეთი. მკვარე. დ. 4.2.1926 დროვანი. თამაში დაიწყო დროვანში. შემდეგ თამაშობდა „კონვედში“ (1950-56) და ტატაბანიას „ბანიასში“ (1957-62).

უნგრეთის ოთხჯგის ჩემპიონი. მსოფლიოს 1954 წ. ვიცე-ჩემპიონი და 1952 წ. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. უნგრეთის ნაკრებში ჩაატარა 86 მატჩი (პირველი: 28.8.1947 ალბანეთი 3-0, ბოლო: 14.10.1962 იუგოსლავია 5-1). მონაწილეობდა მსოფლიოს სამ (1954, 1958, 1962) ჩემპიონატში. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მკვარე.

ბუნიტა ფრანკო — ურუგვაი, იტალია. ნახევარმცველი. 1910-1959. თამაში დაიწყო ურუგვაის „ენიაროლიში“. შემდეგ გადავიდა „როსარში“. 10 მატჩი ითამაშა იტალიის ნაკრებში (პირველი: 11.2.1934 ავსტრია 2-4; ბოლო: 24.3.1935 ავსტრია 2-0). გაიტანა 5 გოლი. მსოფლიოს 1934 წ. ჩემპიონი.

ბულიტი რუჟ — პოლანდია. თავდასხმელი. დ. 1.9.1962 აშტერდაში. თამაშობდა „პაარლემში“ (1982 წლამდე), „ფეინორდში“ (1982-85), „ერნდჰოენში“ (1985-87), „მილანში“ (1987-93 და 1994 წლიდან) და „სამპდორიაში“ (1993-94). პოლანდიისა და იტალიის ჩემპიონი. ევროპის 1988 წ. ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონთა, სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელი. 1987 წ. მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. 1988 წ. „ვერცხლის ბურთის“ მფლობელი. ნაკრებში ჩაატარა 66 მატჩი (პირველი: 1.9.1981 შვეიცარია 1-2) და გაიტანა 16 გოლი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1990 წ. ჩემპიონატში.

ბუნტაძე ოთარ — ლანჩხუთი. მსაჯი. დ. 10.7.1957 წ. პროფესიით იურისტი. მსაჯობს 1982 წლიდან. ფიფას არბიტრი — 1994 წლიდან. ერთწლიანი ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იმსაჯა 69 შეხვედრა.

„ბურია“ — ლანჩხუთი. დაარსდა 1952 წ. სტადიონი „ბურია“ (22 000). 1960 წლამდე გამოდიოდა „კოლმურნეს“ სახელით. 1967-70, 1972-79 და 1980-89 წლებში თამაშობდა სსრ კავშირის პირველობებზე. მოგებული აქვს ტურნირები „ბ“ კლასში, II და I ლიგაში. 1987 წ. თამაშობდა უმაღლეს ლიგაში. სულ სსრუ პირველობებზე ჩაატარა 893 შეხვედრა, საიდანაც მოიგო 407, ფრედ დაამთავრა 186 და ნაგო 300 მატჩი. ბურთების შეფარდება 1329-1095. 1957-66 და 1971 წლებში თამაშობდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში. სამჯერ (1961, 1966 და 1971) მოიგო რესპუბლიკის ჩემპიონატი. იყო მეორე (1960) და მესამე (1959) პრიზიორი. 1965,



ბრეშია



ბრეშიო დიოლუა



„ბურნიკი“

1966 და 1971 წლებში ფლობდა საქართველოს თასს. 1990 წლიდან თამაშობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

1990	34	22	6	6	73-20	II
1991	19	14	4	1	38-15	II
1992	38	22	3	13	89-56	IV
1993	32	12	2	18	37-57	XII
1994	32	14	2	16	66-72	VII
1995	30	8	6	16	36-81	XIII

საქართველოს ეროვნული თასის პირველი გათამაშების გამარჯვებული. სულ ეროვნული თასის გათამაშებაში ჩაატარა 29 მატჩი. +15-4-10. 56-54.

„ბურნიკი“ — ზაბზე. პოლონეთი. დაარსდა 14.12.1948. სტადიონი „ბურნიკი“ (23 000). პოლონეთის ჩემპიონი — 1957, 1959, 1961, 1963, 1964, 1965, 1966, 1967, 1971, 1972, 1985, 1986, 1987, 1988. პოლონეთის თასი — 1965, 1968, 1969, 1970, 1971, 1972. თასების მფლობელთა თასის 1970 წ. გათამაშების ფინალისტი. სულ ევროპულ ტურნირებზე ითამაშა 19-ჯერ.

უ1	12	43	20	6	17	69-15
უ2	2	17	9	4	4	38-20
უ3	5	14	3	5	6	22-26

ბურსკი ქაზნიშე — პოლონეთი. მწვრთნელი. დ.2.3.1921 ლუკუში. თამაშობდა ლუკოის რეს-ში (1936-39) და „სპარტაკში“ (1940-41), ვარშავის „ლეგიაში“ (1945-53). საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად „ლეგიაში“, აგარდიაში“, „ლუბლინში“. 1970-76 წლებში სათავეში ედგა პოლონეთის ნაკრებს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით 1972 წ. გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, 1976 წ. ვიცე-ჩემპიონი და 1974 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. შემდეგ მუშაობდა საბერძნეთში, სადაც მისი გუნდები — „პანათინაიკოსი“ და „ლარისა“ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები.

ბურული ბიბ — თბილისი. თავდაპსხველი. დ. 20.5.1964. თამაში დაიწყო ჭიათურაში. შემდეგ თამაშობდა ბათუმის „დინამოში“. 1982 წლიდან გამოდიოდა თბილისის „დინამოში“ (გარდა 1989 წ., როცა იცავდა „გურიას“ ღირსებას). 1990 წ. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. 1991-92 წ. თამაშობდა კატოვიცს გეს-ში, 1992-94

— საფრანგეთის „ლე პავრში“. აქვამად თამაშობს „დიუნეკრში“ (საფრანგეთი). ნაკრებში ჩაატარა 4 მატჩი (პირველი: 27.5.1990 ლიტვა 2-2). გაიტანა 1 გოლი.

მუტალსი რაიმონ — ბელგია. მწვრთნელი. დ.7.10.1921 წ. მუშაობდა ბელგიის ნაკრებში (III ადგილი — ე.წ.-72) „ანდერლექტში“ (1976-81, ორ-ორჯერ მოიგო თასების და სუპერ თასი), „სტანდარდში“ (1981-83). „სტანდარდში“ მომხდარი სკანდალის შემდეგ მისცეს 2 წლიანი დისკვალიფიკაცია. შემდეგ მუშაობდა „ბორდოში“, კვლავ „ანდერლექტში“ და მარსელის „ოლიმპიკში“ (მოიგო ე.წ.თ.)

მუტმანი ბელა — უნგრეთი. მწვრთნელი. 13.3.1900-24.4.1981. თამაშობდა მტკ-ში, „კიუნაში“. 4 მატჩი ითამაშა უნგრეთის ნაკრებში (პირველი: 5.6.1921 გერმანია 3-0; ბოლო: 29.5.1924 ეგვიპტე 0-3). 1933 წლიდან სამწვრთნელო სამუშაოზეა. მუშაობდა „ბტვენტში“ (1937-38), „უიკეშტ დოჟაში“ (1938-39), ბუქარესტის „დინამოში“ (1945-46), „ეშაშიში“ (1947), „კიშეშტში“ (1948), „პადუაში“ (1949), „ტრიესტინაში“ (1951-53), „მილანიში“ (1954-55), „ლანეროსში“ (1956), „პორტოში“ (1957-59), „ბენფიკაში“ (1959-62, 1965-66), „პენიაროლიში“ (1962-64), აესტრიის ნაკრებში (1964), „სერვეტში“ (1966-67), „პანათინაიკოსში“ (1967-68). მისი ხელმძღვანელობით „ბენფიკამ“ ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი. თავისი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ „მილანი“, „პორტო“, „პენიაროლი“ და „ბენფიკა“. ბოლო წლებში მუშაობდა ვენის „აუსტრიაში“.

მუსაბევი მუსაბევი — თბილისი. თავდაპსხველი. ს.დ.ო. დ. 21.12.1952. 1971-86 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. ჩაატარა 303 მატჩი და გაიტანა 47 გოლი. სსრკ 1978 წ. ჩემპიონი, 1977 წ. ვიცე-ჩემპიონი და ოთხჯერის მესამე პრიზიორი. 1976 და 79 წლების სსრკ თასის მფლობელი. ევროპის 1976 წ. ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. თასების თასის 1981 წ. გათამაშების გამარჯვებული. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 11 მატჩი (პირველი: 29.3.1972 ბულგარეთი 1-1, ბოლო: 10.3.1982 საბერძნეთი 2-0) და გაიტანა ერთი გოლი. შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად თბილისის „დინამოში“ და კვიპროსზე.

მუჰამადი მირზა — სამცხე-ჯავახეთი. მცველი. დ. 7.7.1971. თამაშობდა ღანწხეთის „ტურიაში“ (1989-92), გურჯაანის „ალაზანიში“ (1992-94)

და „საბჭრედიოში“ (1994 წლიდან). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 115 მატჩი. გაიტანა 3 გოლი. 1990 წ. საქართველოს თასის მფლობელი.

ბელი. საქართველოს 1990 და 1991 წ. ვიცე-ჩემპიონი და 1993 წ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.



მათუნაშვილი ილია



და გუია ფოშიგროს ანტონიო — ბრაზილი. თავდასხმელი. დ.19.11.1912. თამაშობდა „ვასკო და გამაში“, მონტევიდეოს „ნასიონალში“, „ბოკა ხუნიორსში“, „ფლამენგოში“. ნაერებში ჩაატარა 27 მატჩი (პირველი: 6.9.1931 ურუგუაი 2-0, ბოლო: 10.2.1946 არგენტინა 0-2). მონანილეობდა მსოფლიოს 1938 წ. ჩემპიონატში.

„მანფი იუნანიტადი“ — დანდი. შოტლანდია. დაარსდა 1909 წ. 1923 წლამდე გამოდიოდა „პიბერნიანის“ სახელით. სტადიონი „ტენდაის ფარქი“ (22 310). შოტლანდიის ჩემპიონი — 1983. შოტლანდიის თასი — 1994. უფა-ს თასის 1987 წ. გათამაშების ფინალისტი. სულ ევროპულ ტურნირებში:

უ1	1	8	5	1	2	14-5
უ2	3	10	3	3	4	9-10
უ3	17	80	35	21	24	119-85



დავლნივი კანეტი

მათუნაშვილი ილია — თბილისი. თავდასხმელი. დ. 1.9.1937. თამაშობდა ლანჩხუთის „კოლმურენში“ და თბილისის „დინამოში“ (1959-67). სსრკ 1964 წ. ჩემპიონი. 1962 და 1967 წ. მესამე პრიზიორი. 1966 წ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. სსრკ პირველობაზე ჩაატარა 199 მატჩი და გაიტანა 47 გოლი.

დანი (დანიის სამეფო) — სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში. ტერიტორია — 43 ლათის კვ. კმ. მოსახლეობა — 5,1 მილ. კაცი. დედაქალაქი — კოპენჰაგენი. (Dansk Boldspil Union) შეიქმნა 1889 წ. დიდას ნევრია მისი დაარსების დღიდან. დანიის ნაერები (პირველი მატჩი: 1908 საფრანგეთი 9-0). 1908, 1912 და 1960 წ. ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონია. ერთხელ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში: +3-0-1. 10-6. 1992 წ. მოიგო ევროპის ჩემპიონატი. სულ 1995 წ. 1 იანერისათვის ნაერებმა ჩაატარა 579 მატჩი, საიდანაც მოიგო 260, ფრედ დაამთავრა 101 და ნააგო 218 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 1143-905.



დალნივი მარტინი

დავლნივი კანეტი — შოტლანდია. თავდასხმელი. დ. 4.3.1951 გლაზგოში. თამაშობდა „სელტიკში“ (1967-77) და „ლივერპულში“ (1977-85) შოტლანდიის 6-გზის და ინგლისის 5-გზის ჩემპიონი. ევროპის 1979, 1981 და 1984 წ. ჩემპიონთა თასის და 1977 წ. სუპერთასის მფლობელი. შოტლანდიის ნაერებში ჩაატარა 102 მატჩი (პირველი: 10.11.1971 ბელგია 1-0, ბოლო: 12.11.1986 ლუქსემბურგი 3-0) და გაიტანა 30 გოლი. შოტლანდიის (1974) და ინგლისის (1979, 1983) საუკეთესო ფეხბურთელი. 1974, 1978 და 1982 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე. 1983 წ. „ვერცხლის ბურთის“ მფლობელი.

დარასალია გიორგი — ფოთი. ნახევარ-მცველი. დ. 17.9.1968. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1987-93) და ფოთის „კოლხეთში“ (1993 წლიდან). 1989 წ. 9 მატჩი ითამაშა თბილისის „დინამოში“ სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. საქართველოს 1991 და 1995 წ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი და 1994 წ. ვიცე-ჩემპიონი. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 165 მატჩი და გაიტანა 75 გოლი. ეროვნულ ნაერებში ჩაატარა 5 მატჩი (პირველი: 2.7.1991 მოლდოვა 4-2). გაიტანა 1 გოლი. 1995 წ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი.

დალნივი მარტინი — შვედეთი. თავდასხმელი. დ. 16.4.1968 წ. თამაშობდა „მალმეში“ (1986-91) და მიონხენგლადბახის „ბურუსიაში“ (1991 წლიდან). მსოფლიოს 1994 და ევროპის 1992 წ. ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. შვედეთის ნაერებში ჩაატარა 37 მატჩი და გაიტანა 18 გოლი.



დანი

დარასელია პიტალი — თბილისი. ნახევარ-მკვლელი. 9.10.1957-13.12.1982. ს.დ.ო. თამაში დაიწყო ოჩაშირეში. 1975-82 წ. იცავდა თბილისის „დინამოს“ ლირსებას. სსრკ ჩემპიონი (1978) და თასის მფლობელი (1976, 1979). 1981 წ. თასების თასის მფლობელი. ევროპის 1980 წ. ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 192 მატჩი: და გაიტანა 26 გოლი. ასრ კაპიტრის ნაკრებში ჩაატარა 22 მატჩი (პირველი: 19.10.1978 იაპონია 4-1, ბოლო: 4.7.1982 პოლონეთი 0-0) და გაიტანა 3 გოლი. ევროპის 1976 წ. ჩემპიონი იუნიორთა შორის. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.

დასაპევი რინატ — მოსკოვი. მკვარე. ს.დ.ო. დ.13.7.1957. ასტრახანში. თამაშობდა ასტრახანის „კოლგარში“, მოსკოვის „სპარტაკში“ (1977-88) და ესპანეთის „სევილიაში“. სსრკ ორგზის ჩემპიონი. 1980 წ. ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. ევროპის 1988 წ. ვიცე-ჩემპიონი. სსრკ-ის 1982 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. მსოფლიოს 1988 წ. საუკეთესო მკვარე. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 97 მატჩი (პირველი: 5.9.1979 გდრ 1-0, ბოლო: 9.6.1990 რუმინეთი 0-2).

დასაპლავი სემონ — სახელმწიფო სამოას არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 2,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 154 ათასი კაცი. დედაქალაქი — აპია. ფ.ფ. (Western Samoa Football (Soccer) Association). შეიქმნა 1968 წ. ფიფა-ს წევრია 1986 წ.

დევაძე პაპი — თბილისი. მკვარე. დ.28.11.1971. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1990), ზესტაფონის „მარგვეთში“ (1991-92), „შეიარდენში“ (1989 წლამდე, 1992-93, 1994-95) და ფოთის „კოლხეთში“ (1993-94). საქართველოს 1986 წ. ჩემპიონი და 1993, 1994 წ. ვიცე-ჩემპიონი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 122 მატჩი. ნაკრებში ჩაატარა 13 მატჩი (პირველი: 2.9.1992 ლიტვა 0-1). საქართველოს 1995-96 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. აქამდე თამაშობს „რუსტელმაში“.

დეინა პაზნიშვი — პოლონეთი. ნახევარ-მკვლელი. 23.9.1947-5.9.1989. თამაშობდა ლოდის „ლეს“-ში (1966), „ლეგიაში“ (1966-77), „პანჩესტერ იუნაიტედიში“ (1977-80) და „სანდვიტოში“ (აშშ 1981-82). პოლონეთის ორგზის ჩემპიონი და 1969, 1972, 1973 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. 1972 წ. ოლიმპიური ჩემპიონი და 1976 წ. ვიცე-ჩემპიონი.

მსოფლიოს 1974 წ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. მონანილეობდა მსოფლიოს 1978 წ. ჩემპიონატში. ნაკრებში ჩაატარა 102 მატჩი (პირველი: 24.4.1968 თურქეთი 8-0, ბოლო: 21.6.1978 საფრანგეთი 1-3) და გაიტანა 45 გოლი. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.

დელონა ანრი — საერანგეთი. 15.6.1883-9.11.1955. ფრანგული და ევროპული ფეხბურთის ცნობილი მოღვაწე. უფა-ს ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი გენერალური მდივანი (1954-55). ევროპის ჩემპიონთა თასის ჩაატარების ერთ-ერთი ინიციატორი. მისივე იდეა იყო ევროპის პირველობის ჩატარება ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, რის გამოც ევროპის ჩემპიონატს ანრი დელონეს თასის გათამაშებასაც უწოდებენ.

დელ სოლი ლუი — ესპანეთი. ნახევარ-მკვლელი. დ. 6.4.1935 წ. თამაშობდა „ბეტისში“, მადრიდის „რეალში“ (1959-62), „იუვენტუსში“ (1963-70) და „რომაში“ (1970-71). 1960 წ. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი. მონანილეობდა მსოფლიოს 1962 და 1966 წ. ჩემპიონატებში. ესპანეთის ნაკრებში ჩაატარა 16 მატჩი (პირველი: 15.5.1960 ინგლისი 3-1; ბოლო: 15.7.1966 შვეიცარია 2-1). გაიტანა 3 გოლი.

დელოური ედმონდ — საფრანგეთი. მკვლელი. დ. 6.4.1935 წ. თამაშობდა „სტად ფრანსში“ და „რუსინგში“. მონანილეობდა მსოფლიოს სამ (1930, 1934, 1938) ჩემპიონატში. საფრანგეთის ნაკრებში ჩაატარა 41 მატჩი (პირველი: 9.5.1929 ინგლისი 1-4; ბოლო: 12.6.1938 იტალია 1-3). 1937 წ. ითამაშა დას. ევროპის ნაკრებში ცენტრ. ევროპის ნაკრების წინააღმდეგ.

დემიანინამო ანატოლი — უკრაინა. მკვლელი. ს.დ.ო. დ. 19.2.1959. თამაშობდა „დნეპროში“ (1976-78), კიევის „დინამოში“ (1979-90, 1992), „ვიქტორი“, „მაგდებურგში“. სსრკ ორგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი. ევროპის 1988 წ. ვიცე-ჩემპიონი და 1986 წ. თასის თასის გათამაშების გამარჯვებული. სსრკ-ის 1985 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 80 მატჩი (პირველი: 23.9.1981 თურქეთი 4-0, ბოლო: 18.6.1990 კამერუნი 4-0) და გაიტანა 6 გოლი. მონანილეობდა მსოფლიოს 1982, 1986 და 1990 წ. ჩემპიონატებში.

დევალი იუა — გერმანია. მწვრთნელი. დ. 10.3.1972. თამაშობდა „რენანიში“, „ალემა-



დასაპევი რინატ



დელონა ანრი

ნიამი" და „ფორტუნამი“. ორი მატრი ითამაშა გერმანიის ნაერებში (1.12.1954 ინგლისი 1-3, 19.12.1954 პორტუგალია 3-0). 1959 წლიდან სამწვრთნელი საშუალება. მუშაობდა „ფორტუნამი“ (1962-69), გფრ-ის ნაერებში ჯ. შიონის ასისტენტად (1970-78), შემდეგ კი უფროს მწვრთნელად (1978-84). მისი შედეგად: ნელსონი გერმანიის ნაერებში 1980 წ. ევროპის ჩემპიონატი და 1982 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფერხების შედეგად მუშაობდა თურქეთში.

დესანი მარსალ — საფრანგეთი. ნახევარ-მეტელი. დ. 7.9.1968 წ. თამაშობდა „ნანტიში“ (1986-92), მარსელის „ოლიმპიკში“ (1992-94) და „მილანიში“ (1994 წლიდან). ევროპის ჩემპიონთა თასის 1993 და 1994 წ. გამარჯვებული. ევროპის 1994 წ. სუპერ-თასის მფლობელი. საფრანგეთის ნაერებში ჩაატარა 16 მატჩი (პირველი: 22.8.1992 შედეგი 1-1).

დებარი ლანიოშ — უნგრეთი. ნახევარ-მეტელი. დ. 24.4.1963. თამაშობდა „ჰონვედში“ (1981-87) მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტიში“ (1987-88), პირენის „ოლიმპიკოსში“ (1988-90), იტალიის „ბოლონიასა“ (1990-92) და „ანკონაში“ (1992-93). უნგრეთის ნაერებში ჩაატარა 50 მატჩი (პირველი: 21.8.1984 შედეგად 3-0) და გაიტანა 10 გოლი. მსოფლიოს 1986 წ. ჩემპიონატის მონაწილე.

დიდი ვალდირ პერეირა — ბრაზილია. ნახევარმეტელი. დ. 8.10.1928 კამპუსში. თამაშობდა „აპერიკიანაში“ (1945-49), „მადურეირაში“ (1949-50), „ფლუმინენსეში“ (1950-56), „ბოტოფოგოში“ (1956-58, 1960-62), მადრიდის „რეალში“ (1958-60) და „სან-პაულუსში“ (1962-66). მსოფლიოს 1958 და 1962 წ. ჩემპიონი. ბრაზილიის ნაერებში ჩაატარა 73 მატჩი (პირველი: 6.4.1952 ბექსია 2-0, ბოლო: 17.6.1962 ჩეხოსლოვაკია 3-1) და გაიტანა 20 გოლი. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი. შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად. მისი ხელმძღვანელობით პერუს ნაერები გაიჭრა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი — უძველესი საერთაშორისო ტურნირი ეროვნულ ნაერებ გუნდებს შორის. ეწყობა 1883 წლიდან ინგლისის, შოტლანდიის, უელსის და ჩრდ. ირლანდიის გუნდების მონაწილეობით. გამარჯვებულად ითვლება გუნდი რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. ხშირად ყოფილა შემთხვევა რომ ორი, სამი და ოთხი

გუნდიც კი გამოცხადებულა გამარჯვებულად. 1984 წლიდან საერთაშორისო კალენდრის გადატვირთვის გამო ტურნირი აღარ გამართულა. ტურნირში გაუმარჯვებია:

ინგლისის ნაერებს — 1886, 1888, 1891-93, 1898, 1899, 1901, 1903-06, 1908, 1909, 1911-12, 1914, 1915, 1916, 1917, 1918, 1919, 1920, 1921, 1922, 1923, 1924, 1925, 1926, 1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1936, 1937, 1938, 1939, 1940, 1941, 1942, 1943, 1944, 1945, 1946, 1947, 1948, 1949, 1950, 1952-61, 1964-66, 1968-75, 1978-79, 1982-83 წლებში.

შოტლანდიის ნაერებს — 1884-87, 1889, 1890, 1894, 1896-97, 1900, 1902-03, 1906, 1908, 1910, 1912, 1921-23, 1925-27, 1929, 1931, 1935, 1936, 1939, 1949, 1951, 1953, 1956, 1962-64, 1967, 1970, 1972, 1974, 1976-77 წლებში.

უელსის ნაერებს — 1907, 1920, 1924, 1928, 1933, 1934, 1937, 1939, 1952, 1956, 1970.


ჩრდ. ირლანდიის ნაერებს — 1903, 1914, 1956, 1958, 1959, 1964, 1980, 1984 წლებში.

„ფილა“ — გორი. დაარსდა 40-იან წლებში. გამოდიოდა „დინამოს“, „კრასნაია ზნამიას“ და „განთიადის“ სახელით. 1960 წლიდან გამოდის „ფილა“ სახელით. სტადიონი — ცენტრალური (10 000). 1966 წლამდე გამოდიოდა საქართველოს სს რესპუბლიკის ჩემპიონატი (საუკეთესო შედეგი — II ადგილი). 1966-89 წ. თამაშობდა სსრკ პირველობის მეორე ლიგაში, სადაც ჩაატარა 890 შეხვედრა. +395=179-316. ბურთების შეფარდება 1323-1177. 1990 წლიდან გამოდის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

1990	34	12	6	16	52-58	X
1991	19	7	3	9	29-32	XII
1992	38	14	8	16	64-64	X
1993	32	11	5	16	39-49	XIII
1994	38	15	4	19	46-67	IX
1995	30	10	7	13	25-35	VII

ეროვნული თასის გათამაშებაში ჩაატარა 18 მატჩი. +9=4-5. ბურთების შეფარდება 32-29.

„დინამო“ ბათუმი — დაარსდა 20-იან წლებში. სტადიონი — „დინამო“ (13 640). 1939 ად. 1960-89 წ. თამაშობდა სსრკ ჩემპიონატებში, სადაც ჩაატარა 1060 მატჩი. +452=402-206. ბურთების შეფარდება 1398-1311. რამდენჯერმე მოიგო თვისი ზონის ტურნირი. 1936-59 წ. თამაშობდა საქართველოს სს რესპუბლიკის ჩემპიონატებში.



„დინამო“
გუპარანსტი

ორჯერ მოიგო ჩემპიონატი (1938, 1940) და თასი (1947, 1958). ეროვნულ პირველობაზე თამაშობს 1990 წლიდან.

1990	34	18	7	9	56-28 VI
1991	19	10	2	7	28-21 V
1992	38	15	6	17	65-58 IX
1993	32	11	6	15	56-56 XI
1994	32	16	5	11	63-46 V
1995	30	16	6	8	69-40 IV

ეროვნული თასის გათამაშებაში ჩაატარა 38 მატჩი. +17-9-12. ბურთების სხვაობა 54-38.

„დინამო“ გუპარანსტი — რუმინეთი. დაარსდა 1948 წ. სტადიონი — „დინამო“ (18 000). რუმინეთის ჩემპიონი — 1955, 1962, 1963, 1964, 1965, 1971, 1973, 1975, 1977, 1982, 1983, 1984, 1990, 1992. რუმინეთის თასი — 1959, 1964, 1968, 1982, 1984, 1986, 1990. ევროპულ საკლუბო ტურნირებზე იასპარეზა 28-ჯერ.



„დინამო“
დრეზდენი

უ1	14	56	22	9	25	86-86
უ2	5	20	8	4	8	25-18
უ3	9	30	11	6	13	51-40

„დინამო“ დრეზდენი — გერ. დაარსდა 12.4.1953. სტადიონი — „დინამო“ (36 000). გერმანიის ჩემპიონი — 1953, 1971, 1973, 1976, 1977, 1978, 1989, 1990. გერმანიის თასი — 1952, 1971, 1977, 1982, 1984, 1985, 1990. ევროპულ ტურნირებზე იასპარეზა 20 -ჯერ.

უ1	7	30	12	6	12	40-43
უ2	3	14	7	1	6	30-27
უ3	10	54	23	18	13	77-51

„დინამო“ ზუგდიდი — დაარსდა 30-იან წლებში. სტადიონი — ცენტრალური (7 500). გამოდიოდა „ენგურისს“ და „ოდიშის“ სახელით. საქართველოს სსრესპობლეის 1964 და 1973 წ. ჩემპიონი და 1973 და 1984 წ. თასის მფლობელი. 12 სეზონის განმავლობაში თამაშობდა სსრე პირველობებზე. ჩაატარა 466 მატჩი. +175-105-186. ბურთების შეფარდება: 563-640. 1989 წ. მოიგო საკავშირო თასი ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს 1990 წლიდან.



„დინამო“ ქიჯი

1990	34	12	10	12	47-38 VIII
------	----	----	----	----	------------

1991	19	8	3	8	33-27 VII
1992	38	16	6	16	56-56 VI
1993	32	11	3	18	52-64 XIV
1994	30	13	3	14	67-54 XII
1995	30	14	4	12	58-54 V

ეროვნული თასის გათამაშებაში ჩაატარა 22 მატჩი. +9-5-8. ბურთების სხვაობა: 34-40.

„დინამო“ თბილისი — დაარსდა 1925 წ. 1990-92 წ. გამოდიოდა „იბერიას“ სახელით. სტადიონი — ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი (75 000). სსრე ჩემპიონი — 1964, 1978. II ადგილი — 1939, 1940, 1951, 1953, 1977. III ადგილი — 1936 (შ), 1946, 1947, 1950, 1959, 1962, 1967, 1969, 1971, 1972, 1976 (გ, შ) 1981. სსრკ-ის თასი — 1976, 1979. სსრკ-ის ჩემპიონატებში ჩაატარა — 1424 მატჩი. +621-406-397. ბურთების შეფარდება: 2176-1677. ევროპის თასის მფლობელთა თასის 1981 წ. გამარჯვებული. სულ ევროპულ ტურნირებზე იასპარეზა 12-ჯერ.

უ1	2	6	2	1	3	10-10
უ2	3	21	11	3	7	30-17
უ3	7	30	16	5	9	45-38

1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

1990	34	24	6	4	91-23	I
1991	19	14	5	0	45-9	I
1992	38	27	6	5	115-41	I
1993	32	25	2	5	92-35	I
1994	38	31	1	6	130-45	I
1995	30	25	3	2	125-33	I

საქართველოს 1992, 1993, 1994 და 1995 წ. თასის მფლობელი. სულ თასის გათამაშებაში ჩაატარა 36 მატჩი. +27-3-6. ბურთების სხვაობა: 118-33.

„დინამო“ ქიჯი — უკრაინა. დაარსდა 1927 წ. სტადიონი — რესპუბლიკური (100 169). სსრკ-ის ჩემპიონი — 1961, 1966, 1967, 1968, 1971, 1974, 1975, 1977, 1980, 1981, 1985, 1986, 1991. სსრკ-ის თასი — 1954, 1964, 1966, 1974, 1978, 1982, 1985, 1987, 1990. უკრაინის ჩემპიონი — 1993, 1994. უკრაინის თასი — 1993. ევროპის თასების თასი — 1975, 1986. ევროპის სუპერთასი — 1975. ევროპის საკლუბო

ტურნირებზე იასპარეზა 24-ჯერ.

უ1	13	72	36	13	23	93-72
უ2	4	30	20	6	4	72-27
უ3	7	28	12	8	8	34-25

„დინამო“ მინსკი — ბელარუსი. დაარსდა 1928 წ. სტადიონი — „დინამო“ (50 862). სსრუ-ის ჩემპიონი — 1982. ბელარუსის ჩემპიონი — 1992, 1993, 1994. ევროპულ საკლუბო ტურნირებზე იასპარეზა 7-ჯერ.

უ1	2	8	3	3	2	16-14
უ2	1	6	2	3	1	6-4
უ3	4	18	8	3	7	29-22

„დინამო“ მოსკოვი — რუსეთი. დაარსდა 1923 წ. სტადიონი — „დინამო“ (51 000). სსრუ-ის ჩემპიონი — 1936 (გ), 1937, 1940, 1945, 1949, 1954, 1955, 1957, 1959, 1963, 1976 (გ). სსრუ-ის თასი — 1937, 1953, 1967, 1970, 1977, 1984. 1972 წ. თახების თასის გათამაშების ფინალისტი. სულ ევროპულ საკლუბო ტურნირებზე იასპარეზა 13-ჯერ.

უ2	4	29	15	8	6	46-25
უ3	9	32	11	8	13	38-45

„დინამო“ ქუთაისი — დაარსდა 30-იან წლებში. 40-50-იან წ. საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი. საქართველოს 1955 წ. ჩემპიონი. 1952 და 1958 წ. ვიცე-ჩემპიონი და 1939, 1940, 1950, 1953, 1954 და 1956 წ. ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. 1953 და 1955 წ. თასის მფლობელი. 1949 წ. ითამაშა სსრუ ჩემპიონატის მეორე გზაუფში. (26 თამაში, +16=8-2, 58-25). 1970-80 წ. გუნდი აღადგინეს მაგრამ სუსტად ასპარეზობდა მეორე გზაუფში და კვლავ დაიშალა.

დი ნაოლი შპარდინანდო — იტალია. ნახევარმცველი. დ. 15.3.1964 წ. ჩიზანო დი სან-დომენიკოში. თამაშობდა „აველინოში“ (1981-82, 83-86), „რიბინიში“ (1982-83), „ნაპოლიში“ (1986-92), „პოლიანიში“ (1992-93) და „რუჯანაში“ (1994 წლიდან). 1989 წ. დაუფლდა უფასო თასს. მსოფლიოს 1990 წ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1986 წ. ჩემპიონატში. იტალიის ნაკრებში ჩაატარა 54 მატჩი (პირველი: 11.5.1986 წინეთი 2-0). გაიტანა 1 გოლი.

დინი უილიამ („დინსი“) — ინგლისი. თავდასხმელი. 1903-1980. თამაშობდა „ტრენ-“

მერ როვერსში“ (1923-24), „ევერტონში“ (1925-38), „ნოთს კაუნთში“ (1939-42). ინგლისის ჩემპიონი (1928, 1932) და თასის მფლობელი (1933). ინგლისის ნაკრებში ჩაატარა 16 მატჩი (პირველი: 12.11.1927 უელსი 3-3, ბოლო: 17.10.1932 კოლანდია 1-0) და გაიტანა 18 გოლი. ინგლისის ლიგაში ჩაატარა 437 მატჩი და გაიტანა 379 გოლი. 1928-29 წ. სუზონში 39 მატჩში გაიტანა 60 გოლი, რაც დღემდე რეკორდია ითვლება ინგლისის ლიგაში.

დინსტი გოტფრიდ — შვეიცარია. მსაჯი. დ.9.9.1921. 1949 წლამდე თამაშობდა შვეიცარიულ კლუბებში. 1949 წლიდან მსაჯობს. იმსაჯა მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე (1962, 1966). იმსაჯა 1966 წ. მსოფლიოს ჩემპიონატს და 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩები. სამჯერ იმსაჯა ევროპული საკლუბო ტურნირების ფინალური თამაშები.

დორნერი პანს-იურბენ — გერმანია. მცველი. დ. 25.1.1951 გიორლიტში. თამაშობდა გიორლიტის „პორტროში“ (1966-67) და დრეზდენის „დინამოში“ (1967-86). გდრ-ის ჩემპიონატებში ჩაატარა 392 მატჩი და გაიტანა 66 გოლი. გდრ-ს ნაკრებში ჩაატარა 100 მატჩი (პირველი: 22.6.1969 ჩილე 0-1, ბოლო: 18.5.1985 ლუქსემბურგი 3-1) და გაიტანა 9 გოლი. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. გდრ-ის 1977, 1984 და 1986 წ. საუკეთესო ფეხბურთელი.

დირსუვი გიმარაშვილი შოზა — ბრაზილია. ნახევარმცველი. დ. 15.6.1952 წ. კურიტიბაში. თამაშობდა „კურიტიბაში“ (1968-71), „პორტოფოკოში“ (1972-75), „ფლუმინენსეში“ (1976), „ვასკო და გაშაში“ (1977-78), „ატლეტიკო მინეიროში“ (1978-79), მადრიდის „ატლეტიკოში“ (1979-82), ევროპის „პულისის“ (1982-83), „ნაპოლიში“ (1983-84), „ასკოლიში“ (1984-85), „კომოში“ (1985-86) და „აველინოში“ (1986-87). მსოფლიოს 1978 წ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. მონაწილეობდა 1982 და 1986 წ. მსოფლიოს ჩემპიონატებში. ბრაზილიის ნაკრებში ჩაატარა 40 მატჩი და გაიტანა 10 გოლი.

დი სისტი ჯანაპარლო — იტალია. ნახევარ-მცველი. დ. 13.3.1943 წ. რომში. თამაშობდა „რომაში“ (1960-65, 1974-78), „ფიორენტინაში“ (1965-74). ევროპის 1968 წ. ჩემპიონი და მსოფლიოს 1970 წ. ვიცე-ჩემპიონი. იტალიის ნაკრებში ჩაატარა 29 მატჩი (პირველი: 1.11.1967 კეიპროსი 5-0; ბოლო: 13.5.1972




„დინამო“ მოსკოვი

ბელგია 1-2). შემდეგ მუშაობდა მწერთნელად „ფიორენტინაში“ (1980-85), „უდინეზეში“ (1985-89) და „ასკოლიში“ (1991-93).



დი სტაჟანო

დი სტაჟანო ალფრედო — არგენტინა. ესპანეთი.. დ. 4.7.1926 ბუენოს-აირესის გარეუბანს ბიკაში. თამაში დაიწყო „რივერ პლატეში“. შემდეგ გამოდიოდა ბოგოტის „მილონარიოსში“. 1953-64 წ. იცავდა მადრიდის „რეალის“ ღირსებას. თამაშობდა აგრეთვე „ესპანოლსა“ (1964-66) და „ელჩეში“ (1967-68). სახვ. ამერიკის 1947 წ. ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონთა თასის 5-გზის მფლობელი. 1960 წ. საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული. ესპანეთის 8-გზის ჩემპიონი. 1954, 1956, 1957, 1958, 1959 წ. ესპანეთის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი და 1957, 1959, 1960, 1962, 1964 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. ევროპის 1957 და 1959 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. ესპანეთის ჩემპიონატებში ჩაატარა 705 მატიჩი და გაიტანა 424 გოლი. თამაშობდა არგენტინის (6 მატიჩი), კოლუმბიის (2) და ესპანეთის (31) ნაკრებ გუნდებში. 1963 წ. იყო ფიფას-ს ნაკრების კაპიტანი ინგლისელების წინააღმდეგ მატიჩში. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწერთნელად.



ფომინიკალთა რესპუბლიკა

ფომინიკალთა რესპუბლიკა — სახელმწიფო უნებულ პაიტზე. ტერიტორია — 48,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 6 წ მილ. კაცი. დედაქალაქი — სანტო-დომინგო. ფ.ფ. (Federacion Dominicana de Futbol) შეიქმნა 1953 წ. ფიფას-ს წევრი 1958 წლიდან.

ფომინიკალი ანჯელო — იტალია. თავდაშსხელი. დ. 25.8.1941 წ. თამაშობდა ბერგამოს „ატალანტაში“ (1960-64), „ინტერში“ (1964-69) „კალიარიში“ (1969-73), „რომაში“ (1974-76). ევროპის 1968 წ. ჩემპიონი და მსოფლიოს 1970 წ. ვიცე-ჩემპიონი. იტალიის ნაკრებში ჩაატარა 33 მატიჩი (პირველი: 10.11.1963 სსრკ 1-1; ბოლო: 29.4.1974 ბელგია 0-0). გაიტანა 7 გოლი. შემდეგ მუშაობდა მწერთნელად იტალიის მწერთარისსხოვან გუნდებში.

ფონადონი როზარტო — იტალია. ნახევარ-მცველი. დ. 9.9.1963 წ. თამაშობდა „ატალანტაში“ (1981-86) და „მილანში“ (1986 წლიდან). ევროპის ჩემპიონთა თასის 1989, 1990 და 1994 წ. გათამაშების გამარჯვებული. ამავე წლებში ფლობდა ევროპის სუპერ-თასს. 1989 და 1990 წ. მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი. მსოფლიოს 1990 წ. ჩემპიონატის შესაბამის პრიზიორი და 1994 წ. ვიცე-ჩემპიონი.



„დუკლა“

იტალიის ნაკრებში ჩაატარა 69 მატიჩი (პირველი: 8.10.1986 საბურჟენთი 2-0). გაიტანა 5 გოლი.

ფონაიუი მელ — ჩრდ. ირლანდია. მცველი. დ. 13.9.1957 ბელფასტში. თამაშობდა „ლუდონ-თაუნში“, „მანჩესტერ იუნაიტედში“. მსოფლიოს 1982 და 1986 წლების ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებში ჩაატარა 80 მატიჩი (პირველი: 16.5.1980 შოტლანდია 0-0).

ფორმსონი ალექსანდრე — თბილისი. მკვარე. 1911-1978. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1936-39) უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 68 მატიჩი. სსრ კავშირის ჩემპიონატების მეორე (1939) და მესამე (1936) პრიზიორი.

ფოქარტი თომას — შოტლანდია. დ. 1929 წ. თამაშობდა „სელტიკში“ (1945-49), „პრესტონ ნორტ ენდში“ (1949-58), „არსენალში“ (1959), „ჩელსიში“ (1960-61). 25 მატიჩი თამაშა შოტლანდიის ნაკრებში (პირველი: 28.11.1951 უელსი 0-1, ბოლო: 11.4.1959 ინგლისი 0-1). მონაწილეობდა მსოფლიოს 1954 წ. ჩემპიონატში. შემდეგ მუშაობდა მწერთნელად „ჩელსიში“ (1962-67), „ასტონ ვილაში“ (1968-69), „პორტუში“ (1969-72), შოტლანდიის ნაკრებში (1972-73), „მანჩესტერ იუნაიტედში“ (1973-77), „დერბი ქაუნთში“ (1977-79), „ქუინზ ფაქ რეინჯერსში“ (1979-80) და სხვა.

ფარიკი ივანარ — ინგლისი. თავდაშსხელი. დ. 12.8.1912. თამაშობდა „საუთემპტონში“ (1930-34), „არსენალში“ (1934-45). ხუთი მატიჩი ითამაშა ინგლისის ნაკრებში (პირველი: 14.11.1934 იტალია 3-2 ბოლო: 26.5.1938 საფრანგეთი 4-2.) და გაიტანა 6 გოლი. ინგლისის ლიგაში ჩაატარა 240 მატიჩი და გაიტანა 197 გოლი. შემდეგ მუშაობდა მწერთნელად.

ფარიკი არტურ — ინგლისი. 1891-25.3.1961. საერთაშორისო ფეხბურთის ცნობილი მოღვაწე. ფიფას-ს ვიცე-პრეზიდენტი (1946-56) და პრეზიდენტი (1956-61 აირჩიეს 1956 წ. 9 ივნისს, ლისაბონის კონგრესზე). ყოველწლიურ უწყობდა ხელს ფეხბურთის განვითარებას აფრიკის, აზიის და სხვა კონტინენტების განვითარებად ქვეყნებში.

„დუკლა“ — პრდა. ჩეხეთი. დაარსდა 1948 წ. სტადიონი — „იულისკა“ (29 000). ჩეხოსლოვაქიის ჩემპიონი — 1953, 1956, 1958,

1961, 1962, 1963, 1964, 1966, 1977, 1979, 1982. ჩეხოსლოვაკიის თასი — 1961, 1965, 1966, 1969, 1981, 1983, 1985, 1990. ევროპულ საკლუბო ტურნირებში იასპარეზა 22-ჯერ.

უ1	10	45	22	10	13	75-58
უ2	6	24	10	7	7	33-29
უ3	6	24	8	7	9	30-32

დუნება პარლუჰ კაბატანოვ გლუფორნ პერი — ბრაზილია. ნახევარმცველი. დ. 31.10.1963წ. თამაშობდა „ვასკო და გამაში“, „ჟორინტიანსში“, „პიზაში“, „ფიორენტინაში“ და „შტუტგარტში“. მსოფლიოს 1994 წლის და სამ. ამერიკის 1989 წლის ჩემპიონი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1990წ. ჩემპიონატში. ბრა-

ზილის ნაკრებში ჩაატარა 57 მატჩი და გაიტანა 5 გოლი.

„დურუჯინი“ — ყვარელი. დაარსდა 50-იანი წლების ბოლოს. სტადიონი — ცენტრალური (2500). 1961-63, 1975-78 და 1981-89 წლებში თამაშობდა საქართველოს სსრ-ს ჩემპიონატების პირველ ჯგუფში. 1990-94 წ. გამოდიოდა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში. 1994 წ. გაიმარჯვა პირველ ლიგაში და გადავიდა უმაღლეს ლიგაში.

1995 30 8 3 19 28-65 XIV

ეროვნული თასის გათამაშებაში ჩაატარა 21 მატჩი. შოიგო 11, ფეუდ დაამთავრა 2 და ნააგო 8 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 33-34.



დუნება



მბანდიძე თეიმურაზ — ლანჩხუთი. ნახევარმცველი. დ.5.6.1957 წ. თამაშობდა თბილისის „დინამოში“, ქუთაისის „ტორპედოში“ (1978-80) და ლანჩხუთის „გურიაში“ (1981-87). სსრკ ჩემპიონატების პირველ ლიგაში ჩაატარა 330 მატჩი და გაიტანა 37 გოლი.

მბრალძიძე ზორბეგ — თბილისი. ნახევარმცველი. დ.29.9.1944 წ. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1965-70) და თბილისის „დინამოში“ (1971-76). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 274 მატჩი. გაიტანა 6 გოლი. 1976 წ. დაუფლა სსრკ თასს. 1971, 1972 და 1976 წ. იყო სსრკ ჩემპიონატების მესამე პრიზორი.

მბევიძე (არაბთა რესპუბლიკა ეგვიპტე) — სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 1 002 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 50,7 მილ. კაცი. დედაქალაქი — კაირო. ფ.ფ. (Egyptian Football Association) დაარსდა 1921 წ. ფიფას წევრი 1923 წლიდან. ეგვიპტეს ნაკრები (პირველი მატჩი: 1920 უნგრეთი 1-2) ორჯერ მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში. სულ ჩაატარა 4 მატჩი. +0=2-2. 3-6. წარმატებით გამოდის ეგვიპტის ნაკრები აფრიკის ჩემპიონატებში. I ადგილი — 1957, 1959, 1986. II ადგილი — 1961. III ადგილი — 1963, 1970, 1974, 1984. ეგვიპტის საკლუბო გუნდები ფლობდნენ: აფრიკის

ჩემპიონთა თასს — „ალ ისმაილია“ (1969), „ნასიონალ ალ-ახლი“ (1982, 1987, 1993), „ზამალეჟი“ (1984, 1986). აფრიკის თასების თასს — „არაბ კონტრაქტოსი“ (1982, 1983), „ნასიონალ ალ-ახლი“ (1984, 1985, 1986), „ზამალეჟი“ (1993). 1983 წ. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული იყო ეგვიპტელი ალ ხატინი.

მდპარფსი დუნქან — ინგლისი. თავდამსხმელი. 21.8.1937-21.2.1958. თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ (1952-58). ინგლისის ნაკრებში ჩაატარა 17 მატჩი (პირველი: 2.4.1955 შოტლანდია 7-2; ბოლო: 27.11.1957 საფრანგეთი 4-0). გაიტანა 5 გოლი. დიდუპა 1958 წ. მიუნხენის ცნობილ ავიაკატასტროფაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სხვა ფეხბურთელებთან ერთად.

მდსტრიომი რალუ — შუდეთი. თავდამსხმელი. დ. 1952 წ. თამაშობდა „დაგერფორსში“, „ატიდაბერგში“, „ჟინდოუენში“ (1973-77), „გეტებორგში“ (1977-79), „სტანდარდში“ (1979-81), „მონაკოში“ (1981-83) და „ორგურუტში“. შუდეთის (1972, 1973), პოლანდიის (1975, 1976) და საფრანგეთის (1982) ჩემპიონი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1974 და 1978 წ. ჩემპიონატებში. ნაკრებში ჩაატარა 40 მატჩი (პირველი: 29.6.1972 დანია 2-0, ბოლო: 12.11.1980 ისრაელი 0-0) და გაიტანა 15 გოლი.



მეხვიძე



„ავერტონი“



თასის მფლობელთა თასი



ჩემპიონთა თასი



ავეროის ჩემპიონატი

ავერალლო მარგუპს და სილვა — ბრაზილია. მცველი. 1944-1974. თამაშობდა „გრემიოში“. მსოფლიოს 1970 წ. ჩემპიონი. ბრაზილიის ნაკრებში ჩაატარა 32 მატჩი (პირველი: 3.9.1969 ურუგვაი 0-0; ბოლო: 26.4.1972 პარაგვაი 3-2).

„ავერტონი“ — ლივერპული. ინგლისი. დაარსდა 1878 წ. „სტენლი ფარქის“ სახელწოდებით. 1892 წ. გამოდის ახლანდელი სახელით. სტადიონი „გუდისონ ფარქი“ (40 176). ინგლისის ჩემპიონი — 1891, 1915, 1928, 1932, 1939, 1963, 1970, 1985, 1987. ინგლისის თასი — 1906, 1933, 1966, 1984. 1985 წ. დაეფულა ევროპის თასების თასს. ევროპის საკლუბო ტურნირებში ითამაშა 10-ჯერ.

უ1	2	8	2	5	1	12-6
უ2	2	13	9	3	1	19-5
უ3	6	20	10	3	7	34-20

ავეროის სუპერთასი — თამაშდება ევროპის ჩემპიონთა თასის და თასის მფლობელთა თასის გათამაშებების გამარჯვებულთა შორის. 1972 წ. პირიზი გათამაშდა არაოფიციალურად, შემდეგ კი გათამაშება შევიდა უფა-ს ოფიციალურ კალენდარში. რამდენჯერმე გათამაშება ჩაიშალა, ვინაიდან გუნდებმა ვერ შესტყეს შეთანხმება (მათ შორის: „ლივერპული“ — თბილისის „დინამო“).

ავეროის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი — დანესდა 1960 წ. გდრ-ის, ავსტრიის, უნგრეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციების ინიციატივით. მასში მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელები ან ფინალისტები (თუ თასის მფლობელი ჩემპიონიცაა). გათამაშება იმართება ოლიმპიური სისტემით. გუნდები ერთმანეთს ხედავიან საკუთარ და მეტოქის მოედანზე.

ფინალი იმართება ნინასნარ შერჩეულ ქალაქში. თასის მფლობელს უფლება აქვს დაიცვას თავისი ტიტული მომდევნო გათამაშებაში.

ავეროის ქვეყნების ჩემპიონთა თასი — ტურნირი დაარსდა 1956 წ. ფრანგი ჟურნალისტის გ. ანოს და ყოველკვირული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ ინიციატივით. მასში მონაწილეობენ მხოლოდ თავისი ქვეყნების ჩემპიონები. თასის მფლობელს უფლება აქვს დაიცვას თავისი ტიტული მომდევნო გათამაშებაში. ტურნირი ტარდება ოლიმპიური სისტემით. გუნდები ერთმანეთს ხედავიან ორჯერ, საკუთარ და მეტოქის მოედანზე. ფინალი ტარდება ნინასნარ შერჩეულ ქალაქში.

ავეროის ჩემპიონატი — ტურნირი დაარსდა 1958 წ. ამ ტურნირის ჩატარების ინიციატორად ფრანგი ანრი დელონე ამიტომ ტურნირის ანრი დელონეს თასსაც უწოდებენ. ტურნირი ეწყობა ოთხ წელიწადში ერთხელ. პირველი ორი ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. შემდგომში კი ჯერ ტარდება შესარჩევი თამაშები, ხოლო შემდეგ ფინალისტები (ჯერ ოთხი, შემდეგ რვა გუნდი) იკრიბებიან ერთ რომელიმე ქვეყანაში და იქ არკვევენ უძლიერესის ვინაობას. ფინალური ტურნირი ჩატარდა:

- 1960 — საფრანგეთი
- 1964 — ესპანეთი
- 1968 — იტალია
- 1972 — ბელგია
- 1976 — იუგოსლავია
- 1980 — იტალია
- 1984 — საფრანგეთი
- 1988 — გერმანია
- 1992 — შვედეთი

პეროვის ჩამავონატი 16 წლის შაბუშთა შორის — იმართება 1982 წლიდან. ჯერ ეწყობა შესარჩევი ტურნირები და შემდეგ 16 ფინალისტი იკრიბება ერთ-ერთი ფინალისტის ქვეყანაში და იქ არკვევს უძლიერესის ვინაობას.

წელი	ქვეყანა	I	II	III
1982	იტალია	იტალია	გფრ	იუგოსლავია
1984	გფრ	გფრ	სსრკ	ინგლისი
1985	უნგრეთი	სსრკ	საბერძნეთი	გდრ
1986	საბერძნეთი	ესპანეთი	იტალია	სსრკ
1987	საფრანგეთი	იტალია	სსრკ	საფრანგეთი
1988	ესპანეთი	ესპანეთი	პორტუგალია	გფრ
1989	დანია	პორტუგალია	გდრ	საფრანგეთი
1990	გდრ	ჩეხოსლოვაკია	იუგოსლავია	პოლონეთი
1991	შვეიცარია	ესპანეთი	გერმანია	საბერძნეთი
1992	კვიპროსი	გერმანია	ესპანეთი	იტალია
1993	თურქეთი	პოლონეთი	იტალია	გერმანია
1994	ირლანდია	თურქეთი	დანია	უკრაინა

პეროვის ჩამავონატი 18 წლის ასაკის შაბუშთა შორის — ეს ტურნირი იმართება 1981 წლიდან და შეცვალა უფთავ-ს ტრადიციული ტურნირი ამ ასაკის ფეხბურთელთათვის.

წელი	ქვეყანა	I	II	III
1981	გფრ	გფრ	პოლონეთი	საფრანგეთი
1982	ფინეთი	შოტლანდია	ჩეხოსლოვაკია	სსრკ
1983	ინგლისი	საფრანგეთი	ჩეხოსლოვაკია	ინგლისი
1984	სსრკ	უნგრეთი	სსრკ	პოლონეთი
1986	იუგოსლავია	გდრ	იტალია	გფრ
1988	ჩეხოსლოვაკია	სსრკ	პორტუგალია	გდრ
1990	უნგრეთი	სსრკ	პორტუგალია	ესპანეთი
1992	გერმანია	თურქეთი	პორტუგალია	ნორვეგია
1994	ესპანეთი	პორტუგალია	გერმანია	ესპანეთი

პეროვის ჩამავონატი 21 წლის ასაკის ფეხბურთელთა შორის — ამ ტურნირმა შეცვალა ევროპის პირველობა 23 წ. ასაკის ფეხბურთელთა შორის.

წელი	I	II	III-IV
1978	იუგოსლავია	გდრ	ინგლისი ბულგარეთი
1980	სსრკ	გდრ	ინგლისი იუგოსლავია
1982	ინგლისი	გფრ	შოტლანდია სსრკ
1984	ინგლისი	ესპანეთი	იტალია იუგოსლავია
1986	ესპანეთი	იტალია	ინგლისი უნგრეთი
1988	საფრანგეთი	საბერძნეთი	ინგლისი პოლანდია
1990	სსრკ	იუგოსლავია	შვედეთი იტალია
1992	იტალია	შვედეთი	დანია შოტლანდია
1994	იტალია	პორტუგალია	ესპანეთი საფრანგეთი

ბოლო ორი ჩემპიონატი იმავდროულად ითვლებოდა ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ზონად ევროპის გუნდებისათვის.

